



**საქართველოს
საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხილვით სასამართლო მოხმარებისთვის

შტამის ადგილი

პასატორი:

ქ. თბილისის მთავრობა სახელი, გვარი (სახელწოდება)	ქ. შარტაევას №7 პირადი (საიდენ.) ნომერი	ბირთვადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა
-------------	-----------------	----------	-------	-------------------

პასატორის წარმომადგენელი:

ს. ბარბაქაძე სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ქ. შარტაევას №7 ბირთვადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა
-------------	-----------------	----------	-------	-------------------

მოწინააღმდეგე მხარე:

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართ. ბინა №13 ბირთვადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა
-------------	-----------------	----------	-------	-------------------

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიშნულ ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

ბასაჩივრებული გადაწყვეტილება

სასამართლოს დასახელება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მომხსენებელი მოსამართლე: ნათია ქუთათელაძე
საქმის ნომერი: 38/838-11
მიღების თარიღი: 2011 წლის 30 ივნისი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად

ნაწილობრივ

რომელ ნაწილში?

იმ ნაწილში, რომელშიც ქ. თბილისის მთავრობას უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ქ. თბილისის მთავრობის სააპელაციო საჩივარი, საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება და მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომელიც გადაწყვეტილებაში არის აღნიშნულნი;
- გადაწყვეტილების გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

ქთბილისის მთავრობას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და იგი უნდა გაუქმდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ქ. თბილისის მთავრობას დაევალია იმ ინფორმაციის გაცემა შეიცავს თუ არა 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“-ს შორის დადებული შპს „რუსთაველკანალის“ 100% წილის, შპს „მცხეთა წყალკანალის“ 100% წილის, შპს „საქწყალკანალის“ 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში. ქ. თბილისის მთავრობას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და უფრო მეტიც, იგი ეწინააღმდეგება კანონს.

კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, აღნიშნული კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები) აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსაზღვრის მიზნით სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

მოცემულ შემთხვევაში სავალდებულოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება (აღნიშნული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტაპლექს ენერჯი ლიმიტედს“-ს შორის დადებული შპს „რუსთაველკანალის“ 100% წილის, შპს „მცხეთა წყალკანალის“ 100% წილის, შპს „საქწყალკანალის“ 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და შეთანხმება №1-ს საჯარო ინფორმაციის სახით გაცემასთან დაკავშირებით), რომლის თანახმადაც სადავო ხელშეკრულების ს რ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ი წარმოადგენს კ ო მ ე რ ც ი უ ლ საიდუმლოებას (აღნიშნული გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით კანონიერ ძალაშია). თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების გამოტანით დასაშვებად ხდის ხელშეკრულების გასაჯაროებას, ვინაიდან ქ. თბილისის მთავრობას ავალებს ისეთი ტიპის ინფორმაციის გაცემას, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ტექსტის ნაწილს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას, ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს.

ამავე კოდექსის 106-ე მუხლი ადგენს, რომ მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენი: ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

ქ. თბილისის მთავრობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მუხლები უნდა გავრცელდეს მოცემულ ურთიერთობაზე, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციულ ძალას სხვა საქმის განხილვისას და გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106 მუხლის დანაწესი.

დადგენილი გარემოებაა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ხელშეკრულების სრული ტექსტი კომერციულ საიდუმლოებად იქნა მიჩნეული და სასამართლოს არ გაუთვალისწინებია არანაირი გამონაკლისი ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის მიმართ.

გარდა აღნიშნულისა, ქ. თბილისის მთავრობას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების გამოტანით სასამართლო გასცდა დავის საგანს. სადავო არ იყო ის გარემოება რამდენად კანონიერად მოახდინა ქ. თბილისის მთავრობამ ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია – შეიცავს თუ არა ხელშეკრულება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს – წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას და შესაბამისად მისი გასაიდუმლოება დაუშვებელია – ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან გულისხმობს უკვე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების რევიზიას. უკვე აღინიშნა, რომ ამავე მხარეებს შორის არსებობდა დავა, სადაც მოთხოვნას წარმოადგენდა ამავე ხელშეკრულების ტექსტის გაცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და დადგინდა, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი შეზღუდული იყო კომერციული საიდუმლოების სტატუსით და სასამართლოს არ დაუდგენია ამ კუთხით არანაირი გამონაკლისი. დღეის მდგომარეობით სააპელაციო სასამართლოს სადავოდ ქცეული გადაწყვეტილებით დასაშვები ხდება ხელშეკრულების ნაწილის გასაჯაროება, რაც ცალსახად წინააღმდეგობაში მოდის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებასთან და უფრო მეტიც, განსხვავებულად აწესრიგებს აღნიშნული გადაწყვეტილებით მოწესრიგებულ ურთიერთობებს. ქ. თბილისის მთავრობას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ შეცვალა და განსხვავებულად გადაწყვიტა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მოწესრიგებული საკითხები, რაც დაუშვებელია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს თბილისის მთავრობის სააპელაციო საჩივრის არ დაკმაყოფილების ნაწილში და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

პრეტიენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

1. პრეტიენზია

დასაბუთება:

2. პრეტიენზია

დასაბუთება:

3. პრეტიენზია

დასაბუთება:

შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

საჩივრის ფასი —

ლარი

სახელმწიფო ბაჟი —

ლარი

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა
რომელი ნორმა? „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტი.
- მტკიცებულება:
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
- შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

- დიახ მორიგების პირობები;
- არა რადგან

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

10 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1:

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა —

საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუკველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება) და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, საშუალო ადგილი და საშუალო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადაადგების თაობაზე.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პეტრეკას ჩამონათვალი</i>		

ატვირთვის ბმული: <http://tbappeal.court.ge/sf> <http://tbappeal.court.ge/sf>

საილენტიფიკაციო ნომერი:

ელ. ფოსტა: 3rd.instance@court.ge

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი – ს. ბარბაქაძე	დდ/08/2011 წ.
<i>ხელმოწერა</i>	<i>ხელმოწერის სახელი, გვარი</i>	<i>შევსების თარიღი</i>

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.